



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო  
პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ევროპის უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი  
14.07.2023

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	16
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	20
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	22
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	28

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	კერძო სამართლის იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტაძე - ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გორგილაძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საერთაშორისო ურთიერთობები
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	-
სწავლების ენა	ქართული ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი (ECTS)
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №461172, 19.05.2021)
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	---

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

როგორც ირკვევა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დასკვნიდან, რომელიც აკრედიტაციის საბჭოზე დამტკიცდა 2021 წლის 19 მაისს, ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით (2022 19 მაისი) და 2 წელში (2023 წლის 18 მაისამდე) მონიტორინგის განხორციელებით.

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას შესასრულებლად განესაზღვრა 8 რეკომენდაცია და 12 რჩევა. აკრედიტაციის 5 სტანდარტიდან სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის და სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების სტანდარტები შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო სამი სტანდარტი, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში აკრედიტაციის მოთხოვნებთან.

საგანმანათლებლო პროგრამაში გაცემული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინების მიზნით დაიგეგმა რიგი ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში იყო ჩართული როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, პოტენციური და არსებული დამსაქმებლები. სამუშაო პროცესის ფარგლებში მოხდა შესასრულებელი რეკომენდაციების და რჩევების განხილვა, შემდგომ პროგრამაში საჭირო ცვლილებების განხორციელების ეტაპების დადგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით. ცვლილებები განხორციელდა „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 16 მარტის №65 ბრძანებით) შესაბამისად. მისასალმებელია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა შესასრულებელი რეკომენდაციები და რჩევები და წარმოადგინა შესრულებული ცვლილებების დეტალური და სტრუქტურირებული ანგარიში.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

31 მაისის 2023 წლის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაიწყო დასკვნის პროექტზე მუშაობა, კერძოდ 2021 წლის 19 მაისის პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების და რჩევების შესრულების შეფასებაზე. ევროპის უნივერსიტეტმა წარმოადგინა დეტალური ანალიზი „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი რეკომენდაციების და რჩევების შესრულების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმება განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების თაობაზე. მონიტორინგის ჯგუფი შედგება 2 ექსპერტისაგან, ივანა მაჩიტძე (თავმჯდომარე) - ა(ა)იპ

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი და ირაკლი გორგილაძე (წევრი) - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფი მერ 5 სტანდარტი შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ამავე დროს გაცემულია რამდენიმე რჩევა, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განვითარებას.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

### 1.5. სასწავლო კურსი

- *სასურველია სასწავლო კურსის „ამერიკის საგარეო პოლიტიკის“ სათაურის დაზუსტება და „ამერიკის საგარეო პოლიტიკის ისტორიის“ სათაურით გადარქმევა.*
- *„საერთაშორისო ორგანიზაციები და ინტეგრაციული პროცესების“ სასწავლო კურსის შემთხვევაში მისასაღებებელია ლიტარეტურის წყაროების განახლება. ამავე დროს სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე *სასურველია ლიტერატურის წყაროების განახლება, რათა მოხდეს იმ ყველა კომპლექსური პროცესის დაფარვა, რომელიც მიმდინარეობს 2017 წლის შემდეგ.**

### 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

- სასურველია სტუდენტების ჩართულობის ზრდა საერთაშორისო მობილობაში, რაც გამოცდილების გაზიარების მოტივაციის გაძლიერების საფუძველი გახდება.

### 5.2. გარე ხარისხის შეფასება

- სასურველია პროგრამა მუდმივი განვითარებისთვის ირებდეს გარე შეფასებას უცოელი ექსპერტებისგან.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>**
- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

---

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილ რეკომენდაციების შესრულების დასკვნის პროექტის შემთხვევაში დაწესებულებას არ ჰქონდა შენიშვნები ან განსხვავებული მოსაზრებები.

შესაბამისად, საბოლოო დასკვნაც უცვლელი რჩება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად *საჭიროა შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევის ჩატარება და კვლევის ანალიზის შედეგების საფუძველზე პროგრამის მდგრადობაზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავება (სტუდენტთა მოზიდვა, შენარჩუნება).*

**აღსანიშნავია, რომ ეს რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ, შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია.** მაგალითად, მიმდინარეობს აქტივობების დაგეგმვა ჟან მონეს პროექტის „ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების განვითარება საქართველოს სკოლებში“ (620893-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT) ფარგლებში, რომლის მიზანია თანამშრომლობის დამყარება 50-მდე საჯარო სკოლასთან. პროექტში ჩართულია დაახლოებით 150 დირექტორ-მასწავლებელი და 350 მოსწავლე. იქიდან გამომდინარე რომ პროექტის განმავლობაში დაგეგმილია ურთიერთთანამშრომლობა სკოლებს და უნივერსიტეტს შორის, აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს უნივერსიტეტის და მისი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

მეორე მასშტაბური პროექტია, ევროპის უნივერსიტეტის თანამშრომლობა საფრანგეთის საელჩოსთან. პოტენციური აბიტურიენტები იღებენ მონაწილეობას ესსეების კონსურსში. ხაზგასასმელია, რომ რეკომენდაციის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ მომზადდა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის მიზანია დასაქმების ბაზრის მოთხოვნების მოთხოვნა შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე საერთაშორისო ურთიერთობების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებზე.

კვლევის ფარგლებში დამუშავდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოველწლიური ანგარიში დარგის სპეციალისტებსა და აკადემიურ პროგრამებზე მოთხოვნის შეფასების მიზნით. ემპირიული კვლევის ფარგლებში მიღებულია ინფორმაცია პროგრამის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების გადასაანალიზებლად და საჭირო რეკომენდაციებისთვის.



კვლევის ფარგლებში განხორციელდა აბიტურიენტების ჩარიცხვის 2022 წლის სტატისტიკური მონაცემები. მომზადებულია შეფასებისა და გამოცდილების ეროვნული ცენტრის ანგარიშებიდან მიღებული მონაცემებით. როგორც ირკვევა ანალიზიდან, სოციალური მეცნიერებების სხვა მიმართულებებთან შედარებით მოთხოვნა პოლიტიკის სპეციალისტებზე, ადმინისტრატორების ან უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებზე ნაკლებია.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სამსახურში ვაკანსიების პორტალის, HR.GOV.GE-ს მიმდინარე და დაარქივებული ვაკანსიების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მიმდინარე, 2023 წელს 32 ვაკანსია გამოცხადდა, სადაც მოთხოვნილ კვალიფიკაციად საერთაშორისო ურთიერთობები იყო მითითებული. მაღალი მოთხოვნაა საერთაშორისო ურთიერთობების დარგის სპეციალისტებზე არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი გრანტებზე და ანალიტიკურ დოკუმენტებზე მუშაობა. დასაქმების ბაზრის ანალიზიდან გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: ვაკანტური პოზიციები საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალიზაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნით შედარებით მცირე რაოდენობით ქვეყნდება და დამსაქმებლების ანალიზი თვალსაჩინოდ აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულისგან მოითხოვება როგორც ცოდნის ფართო არეალი, ასევე სიღრმისეული ცოდნა გარკვეულ მიმართულებებში და პრიორიტეტი ენიჭება რამდენიმე ენის ცოდნასა და აკადემიური წერის უნარებს, რაც ზედიზედ ორი შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტის მიერ მომზადდა საკომუნიკაციო გეგმა, სადაც დეტალურად გაწერილია დაგეგმილი ღონისძიებები მედიაში ევროპის უნივერსიტეტის საგანამანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიწოდება, მათი ძლიერი მხარეების სათანადოდ გაშუქება. რეგულარულად ტარდება ღია კარის დრეები აბიტურიენტებისთვის, რაც მტკიცდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციით. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით რეკომენდაცია შრომის ბაზრის დეტალურ შესწავლასთან დაკავშირებით და ამ შედეგების გამოყენება აბიტურიენტებთან კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების მიზნით შესრულებულია.**

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შრომის ბაზრის კვლევა (2023 წელი)
- ევროპის უნივერსიტეტის კომუნიკაციის სტრატეგია
- პროგრამის ვებ გვერდი <https://eu.edu.ge/ge/tour-european-university>

#### **რეკომენდაციები:**

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

#### **შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნული ქვესტანდარტის ფარგლებში რეკომენდაცია გაცემული არ ყოფილა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

აღნიშნული ქვესტანდარტის ფარგლებში გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რელევანტური კრიტერიუმები“.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (2020 წელი). მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- შეფასების პირდაპირი მეთოდი;

- შეფასების არაპირდაპირი მეთოდი.

სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პირდაპირი მეთოდი მოიწავს სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. აღნიშნული ეყრდნობა სტუდენტთა შეფასების საბოლოო შედეგებს, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტის მიღწევების შეფასებები სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

სტუდენტთა შეფასების საბოლოო შედეგები გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემების მისაღებად, კერძოდ, იმ სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებლების დასათვლელად, რომელთაც მიიღეს შეფასება A (ფრიადი) და შეფასება F (ჩაიჭრა), კერძოდ:

1. სტუდენტთა 10%-ზე მეტი შეფასების ხუთი დონიდან მუდმივად იღებს უმაღლეს შეფასებას: A (ფრიადი) – 91-100 ქულა (პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად მარტივად მისაღწევად და ამდენად საკითხი საჭიროებს კვლევას).

2. სტუდენტთა 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს უარყოფით შეფასებას: F (ჩაიჭრა) – 50 ქულა და ნაკლები. (პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები ხშირ შემთხვევაში ვერ მიიღწევა, შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად რთულად მისაღწევად და ამდენად საკითხი საჭიროებს კვლევას).

**პროგრამით დასახული სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება დაინტერტესებული მხარეების (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვების შედეგები.**

დაინტერესებული მხარეები, კერძოდ დამსაქმებლები აფასებენ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ან კურსდამთავრებულის ცოდნასა და უნარებს, ხოლო კურსდამთავრებულების გამოკითხვის შემთხვევაში - საკუთარ ცოდნასა და უნარებს, რაც არაპირდაპირი გზით პროგრამის შეფასების საშუალებას იძლევა.

მიღებული შედეგების შესაბამისად ხდება პასუხების ანალიზი და გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, მაგალითად, სწავლებისა და სწავლის მეთოდების შეცვლა; პროგრამის კომპონენტის კრედიტებისა და შესაბამისად კომპონენტის ასათვისებლად გამოყოფილი სამუშაო საათების შეცვლა; პროგრამის კომპონენტის ფარგლებში ლექტორთან საკონტაქტო საათების შეცვლა; პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების შეცვლა; პროგრამის კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის შეცვლა; პროგრამის კომპონენტის წინაპირობის დაწესება ან შეცვლა და ა. შ

რეკომენდაციის შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების გამოკითხვების შედეგები 2021-2022 წლის და 2023 წლის შემთხვევაში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა; პოტენციურმა (ანდა რეალურმა) დამსაქმებლებმა; საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებმა. მაგალითად, სტუდენტების მოსაზრებით გაცემული მოსაზრება, რომ საკონტაქტო საათების რაოდენობა რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში. რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, 10 რესპოდენტიდან უმეტესობამ გააგრძელა სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე ევროპის უნივერსიტეტში. პროგრამის შესახებ დადებით უკუკავშირთან ერთად აღნიშნავენ დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და აქედან გამომდინარე უნივერსიტეტის მხრიდან მეტი მხარდაჭერა.

ზემოთ აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, რომელიც ეყრდნობა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ რეკომენდაცია სრულად გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o უნივერსიტეტის ვებ გვერდი: <https://eu.edu.ge/ge/program/609-saertashoriso-urtiertobebi>;
- o საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (2020 წელი);
- o საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენების ანგარიში;
- o გამოკითხვების შედეგები 2021-2022 წელი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღნიშნული ქვესტანდარტის ფარგლებში გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „*დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა სამართლის ბლოკში. კერძოდ, სამართლოვის სასწავლო კურსებში წინაპირობების პრინციპი*“.

რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: პროგრამის არჩევით ბლოკს დაემატა სასწავლო კურსი „სამართალმცოდნეობის საფუძვლები“ (5 კრედიტი). სასწავლო კურსები „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ (სავალდებულო, 5 კრედიტი), სასწავლო კურსი „სამართალმცოდნეობის საფუძვლები“ წინაპირობად განისაზღვრა „საერთაშორისო სისხლის სამართლის“ არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში (4 კრედიტი).

სავალდებულო სასწავლო კურსების შემთხვევაში - „საერთაშორისო ხელშეკრულებები“ და „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“ - წინაპირობად სასწავლო კურსის „შესავალი საერთაშორისო სამართალში“, ნაცვლად განესაზღვრათ სასწავლო კურსი „საერთაშორისო საჯარო სამართალი“.

არჩევით სასწავლო კურსს „ევროკავშირის სამართალი“ (5 კრედიტი) წინაპირობად სასწავლო კურსსთან „ევროპული ინტეგრაციის ისტორია“ (4 კრედიტი) ერთად განესაზღვრა აგრეთვე „შესავალი საერთაშორისო სამართალში“ (4 კრედიტი).

„სამართალმცოდნეობის საფუძვლები“ წინაპირობა გახდა ისეთი სასწავლო კურსების, როგორცაა „თანამედროვე სახელმწიფო და დემოკრატია“ (5 კრედიტი) და „საერთაშორისო სისხლის სამართალი“. დამატებით, „საერთაშორისო სისხლის სამართლის“ (4 კრედიტი) შემთხვევაში, წინაპირობად გვხვდება აგრეთვე „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ (5 კრედიტი) (ნაცვლად სასწავლო კურსისა „შესავალი საერთაშორისო სამართალში“).

აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ასევე გაცემულია რჩევა *სტუდენტების, კურდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კომიტეტში წევრობასთან დაკავშირებით მუდმივი სტატუსით*. მისასაღებელია, რომ შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა „საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის რეგლამენტის“ მე-7 პუნქტში (2020 წლის 15 სექტემბრის თარიღით). ამ გადაწყვეტილების შესაბამისად გამოცხადდა კონკურსი ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად, რის შედეგადაც შეირჩა სტუდენტი-წევრი. როგორც აღნიშნულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ზემოთ აღნიშნული რეგლამენტი აძლევს შესაძლებლობას სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების დასწრებისთვის. **შესაბამისად, აღნიშნული რჩევა გათვალისწინებულია, როგორც რეკომენდაცია საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სამართლის ბლოკის დახვეწასთან დაკავშირებით.**

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;

- საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის რეგლამენტი (15.09.2020)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები (2020 წლის 23 მარტი).

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „*მოხდეს სილაბუსების („საერთაშორისო ურთერთობების შესავალი“, „საერთაშორისო ურთერთობების თეორიები“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკა“, „პოსტ-საბჭოთა პოლიტიკა“ „ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოება“, „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“ „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „პოლიტიკური სისტემები და რეჟიმები“, „პარტიული პოლიტიკა“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთერთობა“ და სხვა.) გადახედვა-სათაურების შეცვლა, ლიტერატურის შეცვლა/დამატება, თემების გადახედვა და გამრავალფეროვნება“.* როგორც დასტურდება აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებით რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა, რაც დასტურდება როგორც პროგრამის სილაბუსებით, ისე განახლებული ლიტერატურის სიით.

მაგალითად:

- „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“ – დაემატა 2021 წლის ლიტერატურა: ეკა აკობია, რატი თვალავაძე, მარიამ ტარასაშვილი, ლაშა კაკაშვილი, თათია მოსიძე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები: ძირითადი ლიტერატურა და თანამედროვე კვლევითი დღის წესრიგი. კავკასიის უნივერსიტეტი.
- „რუსეთის საგარეო პოლიტიკა“ - სხვა ლიტერატურის წყაროებთან ერთად დამატებულია - Donaldson R. Foreign Policy of Russia: Changing Systems, Enduring Interests. 2019.
- „პოსტ-საბჭოთა პოლიტიკა“ - რიდერი შედგება რამდენიმე წიგნიდან, რომლების კონკრეტული თავები მითითებულია შესაბამისად.
- „ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოება“ - განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიტერატურის მრავალფეროვნება, ხელმისაწვდომია დეტალური ინფორმაცია ლიტერატურის თითოეული წყაროს შესახებ.

რაც შეეხება რეკომენდაციას ლიტერატურაში რიდერის მითითებასთან დაკავშირებით, კერძოდ კონკრეტულად რიდერში გამოყენებულ ლიტერატურას, რიდერები ჩანაცვლდა ლიტერატურის ცალკეული წყაროებით შემდეგ სასწავლო კურსებში: „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, „საერთაშორისო ორგანიზაციები და ინტეგრაციული პროცესები“.

„ამერიკის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსის შემთხვევაში დამატებული ლიტერატურა უზრუნველყოფს საკითხების შესწავლას საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდის ჩათვლით. აქედან გამომდინარე *სასურველია სასწავლო კურსის სათაურის დაზუსტება და „ამერიკის საგარეო პოლიტიკის ისტორიის“* სათაურის შეცვლა. „საერთაშორისო ორგანიზაციები და ინტეგრაციული პროცესების“ სასწავლო კურსის შემთხვევაში მისასალმებელია ლიტერატურის წყაროების განახლება, ამავე დროს სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე *სასურველია ლიტერატურის წყაროების განახლება, რათა მოხდეს იმ ყველა კომპლექსური პროცესის დაფარვა, რომელიც მიმდინარეობს 2017 წლის შემდეგ.*

საერთაშორისო კონსტიტუციური სამართლის და დემოკრატიის სასწავლო კურსის სათაურის და შინაარსის დაზუსტების შემთხვევაში, მოხდა შემდეგი ცვლილებები: სასწავლო კურსის სათაური შეიცვალა და დაერქვა „თანამედროვე სახელმწიფო და დემოკრატია“. აღსანიშნავია, რომ ასევე მოხდა სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რაც დასტურდება სასწავლო კურსის სილაბუსით.

მწვანე ეკონომიკის სასწავლო კურსის სათაურის დაზუსტების შემთხვევაში - სავალდებულო ლიტერატურა განახლდა ინგლისურენოვანი წყაროების დამატების მეშვეობით, რის შედეგადაც სასწავლო კურსის წინაპირობად დაემატა ინგლისური ენა B2, რაც ასევე დასტურდება ხელმისაწვდომი სილაბუსით და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სასწავლო გეგმით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ყველა რეკომენდაცია და რჩევა სასწავლო კურსების შინაარსთან დაკავშირებით გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სილაბუსები;
- განახლებული ლიტერატურის სია.

### რეკომენდაციები:

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- *სასურველია სასწავლო კურსის „ამერიკის საგარეო პოლიტიკის“ სათაურის დაზუსტება და „ამერიკის საგარეო პოლიტიკის ისტორიის“* სათაურით გადარქმევა.

- „საერთაშორისო ორგანიზაციები და ინტეგრაციული პროცესების“ სასწავლო კურსის შემთხვევაში მისასალმებელია ლიტარეტურის წყაროების განახლება. ამავე დროს სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე სასურველია ლიტერატურის წყაროების განახლება, რათა მოხდეს იმ ყველა კომპლექსური პროცესის დაფარვა, რომელიც მიმდინარეობს 2017 წლის შემდეგ.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნულ კომპონენტში რეკომენდაციები ან რჩევები გაცემული არ ყოფილა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:



რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღნიშნულ კომპონენტში აკრედიტაციის საბჭოს შემდეგი რეკომენდაცია გასათვალისწინებელია: „მიზანშეწონილია პროგრამას დაემატოს კვლევის მეთოდების საგანი სავალდებულო სტატუსით“.

რეკომენდაციის შესაბამისად, „კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსს მიენიჭა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსი. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე განხორციელდა ცვლილებები სწავლის შედეგების რუკაში და სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში, ასევე სასწავლო გეგმაში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

რაც შეეხება რჩევას „აკადემიური წერის ფარგლებში APA ან Chicago-ს სტილის შესწავლის თაობაზე“, ევროპის უნივერსიტეტი იყენებს ნაშრომების გაფორმებას APA-ს სტილის მიხედვით, შესაბამისად „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის ფარგლებში ძირითადი ფოკუსი კეთდება ზუსტად APA-ს სტილზე. ამავე დროს, „აკადემიური წერის“ სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსს დაემატა თემა 13: დოკუმენტის ფორმატი სოციალურ მეცნიერებებში ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA) სტილით. შესაბამისად, აღნიშნული რჩევა ნაწილობრივ გაზიარებულია, რადგან მეტი აქცენტი კეთდება გაფორმების სტილის შესწავლას, მაგრამ ამავე დროს ყურადღების ცენტრშია APA-ს სტილი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
